

არკადი ხინთიბიძე (თამარ მაისურაძე)

ქართველი მსახიობი და რეჟისორი არკადი ხინთიბიძე დაიბადა 1918 წლის 8 იანვარს სოფელ ძიმითში (ოზურგეთის რაიონი). სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1928 წლიდან შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო თბილისის “წითელ თეატრში” და კინომსახიობთა სტუდიაში. 1944 წლიდან მუშაობდა კ/ს “ქართული ფილმის” რეჟისორად.

ა.ხინთიბიძის მიერ კინოფილმებში განსახიერებული როლებია: ინჟინერი - “წარსულის საშინელებანი”, 1925 წ. ყარამანი - “ვინ არის დამნაშავე?”, 1925 წ. ივანე აზნაური - “ჯანყი გურიაში”, 1928 წ. ისმაილი - “ახალგაზრდობა იმარჯვებს”, 1929 წ. გიორგი - “ამერიკანკა”, 1930 წ. მუშის მეგობარი - “დამკვრელი”, 1931 წ. მოადგილე - “მაქირი”, 1930 წ. კონია - “უდაბნო”, 1932 წ. ჭიჭიკო - “ნახვამდის”, 1935 წ. ყრუ-მუნჯი - “ქუჩუნას მზითვევი”, 1934 წ. ტიტო - “დარიკო”, 1936 წ. ენაბლუ ტუსალი - “უკანასკნელი მასკარადი”, 1934 წ. მიქელა - “დაკარგული სამთხე” 1937 წ. ლომკაცა - “ქალიშვილი ხიდობნიდან”, 1940 წ. ფოსტალიონი - “მეგობრობა”, 1941 წ.

1949 წლიდან დამდგმელი რეჟისორია მულტფილმებისა “მამაცი მთასვლელები” - 1950 წ. “ჯაფარა” - 1951 წ. “წაფი ჩუკა” - 1953 წ. “ნიკო და ნიკორა” - 1954 წ. “ჩხიკვათა ქორწილი” - 1957 წ. “მტრობა” - 1959 წ. “წუნა და წრუწუნა” - 1961 წ. “ნახევარ წიწილა” - 1962 წ. “ქორბუდა” 1963 წ და სხვა.

მიღებული აქვს პრემია მინსკის III საკავშირო კინოფესტივალზე და დიპლომი ლოკარნოს XIII საერთაშორისო ფესტივალზე 1960 წ.

1958 წლიდან მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ა. ხინთიბიძე გარდაიცვალა 1963 წლის 4 აგვისტოს.

არკადი ხინთიბიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. არკადი ხინთიბიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950 წ. 9 თებერვალი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
2. არკადი ხინთიბიძის ავტობიოგრაფია.
1950 წ. 9 თებერვალი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
3. არკადი ხინთიბიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1953 წ. 27 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
4. არკადი ხინთიბიძის ავტობიოგრაფია.
1953 წ. 27 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
5. არკადი ხინთიბიძის მიერ შევსებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი ბარათი.
1953 წ. 27 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

6. არკადი ხინთიბიძის განცხადება, კინოსურათ „Золотое руно“- ს დირექტორ სვანელთან, ქ. სიღნაღში გადაღებების დროს მომხდარი ინციდენტის შესახებ.
1956 წ. 14 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს რეჟისორი: ა. ხინთიბიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
7. არკადი ხინთიბიძის ცნობარი.
1956 წ. 3 ივლისი. ავტოგრაფი. 3 გვ.
8. არკადი ხინთიბიძის მიერ შევსებული კინოსტუდია “ქართული ფილმის” შემოქმედებითი ბარათი.
1956 წ. 3 ივლისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
9. არკადი ხინთიბიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1957 წ. 23 იანვარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.
10. არკადი ხინთიბიძის მოთხოვნა შემოქმედებითი ბიუროს სექციისადმი, მე-2 კატეგორიის რეჟისორის წოდების მინიჭების შესახებ.
1957 წ. 28 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
11. არკადი ხინთიბიძის დახასიათება გაცემული შემოქმედებითი ბიუროს სექციის მიერ.
1958 წ. 27 იანვარი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: თავმჯდომარე – კ. პიპინაშვილი, მდივანი – ნ. გრძელიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
12. არკადი ხინთიბიძის განცხადება მულტმწარმოების უფროს – ვ. კარსანიძისადმი, მულტიპლიკატორ შალიკაშვილის მიმართ წაყენებული პრეტენზიების შესახებ.
1959 წ. 7 იანვარი. ავტოგრაფი. 1 გვ.
13. არკადი ხინთიბიძის განცხადება მულტმწარმოების უფროს – ვ. კარსანიძისადმი, ნახატი ფილმის „წუნა და წრუწუნას“ მხატვარ ნასყიდაშვილის უდუსწიპლინობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. (მასალას ერთვის ვ. კარსანიძის რეზოლუცია ამ ფაქტთან დაკავშირებით).
1960 წ. 1 ნოემბერი. ავტოგრაფი. 1 გვ.
14. არკადი ხინთიბიძის განცხადება მულტმწარმოების უფროს – ვ. კარსანიძისადმი, ნახატი ფილმის „წუნა და წრუწუნას“ მთავარი გმირის საღებავის ფერთან შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. (მასალა ერთსთავის ვ. კარსანიძის რეზოლუცია შექმნილ პრობლემასთან დაკავშირებით).
1960 წ. 26, 27 დეკემბერი. ხელნაწერი. 2 გვ.
15. არკადი ხინთიბიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოყოფილი კომისიის დასკვნა, ნახატ ფილმ - „წუნა და წრუწუნას“ გაფერადებასთან შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.
1960 წ. 27 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: კინოსტუდიის ფირის გადამამუშავებელი საამქროს უფროსი – ე. წერეთელი, მულტფილმ „წუნა და წრუწუნას“ მთ. მხატვარი – ბ. სტარიკოვსკი, მულტმწარმოების ტექნიკური ხელმძღვანელი – ვ. მაჭავარიანი, წარმოების ოპერატორი – ლ. კვალიაშვილი, წარმოების მხატვარ – კოლორისტები – მ. თარხნიშვილი და თ. კანდელაკი, გამფორმებელი საამქროს ოსტატი – ლ. მარტიროსოვი, მულტფილმების წარმოების უფროსი – ვ. კარსანიძე. 1 გვ.

16. არკადი ხინთიბიძის განცხადება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ მ. კვესელავასადმი, ნახატი ფილმის „წუნა და წრეწუნას“ სცენების რუსულ ენაზე დუბლიაჟის შესახებ.

1961 წ. 1 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერს დამდგმელი რეჟისორი – ა. ხინთიბიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

17. ამონაწერი სტენოგრაფიული ჩანაწერიდან მულტიპლიკაციური სცენარის „ნახევარწიწილას“ მიღების შესახებ.

1961 წ. 23 ივნისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

18. მულტმწარმოების უფროსის ვ. კარსანიძის განცხადება კინოსტუდიის დირექტორ მ. კვესელავასადმი, ვაჟა-ფშაველას იუბილესთან დაკავშირებით, ფილმ „ნახევარწიწილას“ დამდგმელ რეჟისორად ა. ხინთიბიძისა და მთ. მხატვრად ბ. სტარიკოვსკის დანიშვნის შესახებ.

1961 წ. 25 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.

19. არკადი ხინთიბიძის განცხადება მულტმწარმოების უფროს – ვ. კარსანიძისადმი, შემოქმედებითი ასისტენტის თანამდებობაზე მხატვარ ტოპუზინის დანიშვნის შესახებ.

1961 წ. 7 ოქტომბერი. ავტოგრაფი. 1 გვ.

20. მულტმწარმოების უფროსის ვ. კარსანიძის განცხადება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე ვ. ქიქოძისადმი, ლიტ. სცენარის „ხანძარი ტყეში“ გადაკეთების შესახებ.

1962 წ. 1 ივნისი. ავტოგრაფი. 1 გვ.

21. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ აქტი ნახატი ფილმის „ნახევარწიწილას“ დასრულების შესახებ.

1962 წ. 29 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კინოსტუდიის დირექტორი – მ. კვესელავა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

22. არკადი ხინთიბიძის ავტობიოგრაფია.

1962 წ. 2 აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

23. არკადი ხინთიბიძის დახასიათება გაცემული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ.

1986 წ. 7 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

24. თბილისის კინოსტუდიის მიერ გაცემული ატესტატი არკადი ხინთიბიძის სახელზე.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: თბილისის კინოსტუდიის დირექტორი - მ. კვესელავა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

25. არკადი ხინთიბიძის განცხადება მულტმწარმოების უფროსის – ვ. კარსანიძისადმი, თანამშრომელ ოშაყმაშვილის მულტმწარმოებაში დაბრუნების შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. 1 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

26. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დასკვნა ნახატ ფილმ „ნახევარწიწილას“ წარმოებაში ჩაშვების შესახებ.

1961 წ. 12 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი – მ. კვესელავა, სასცენარო განყოფილების უფროსი – მ. მგალობლიშვილი, უფროსი რედაქტორი – კ. გოგოძე. 1 გვ.

27. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დასკვნა სარეჟისორო სცენარზე „ხანძარი ტყეში“. ავტორი: რ. თაბუკაშვილი. რეჟისორები: ა. ხინთიბიძე, მ. ლავრელაშვილი.

1962 წ. 18 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროსი რედაქტორი – კ. გოგოძე. 2 გვ.

28. ნახატი ფილმის „ნახევარწიწილას“ დასკვნა გაცემული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ. სცენარის ავტორები: რ. ებრაელიძე, ა. ხინთიბიძე. დამდგმელი რეჟისორი: ა. ხინთიბიძე.

1962 წ. ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: მთ. რედაქტორი – კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. 2 გვ.

29. მულტიპლიკაციური ფილმის „ნახევარწიწილას“ ანოტაცია. (არასრული).

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

30. მულტიპლიკაციური ფილმის „ნიკო და ნიკორას“ სცენარი.

სცენარის ავტორები: შ. დადიანი, ა. ხინთიბიძე, რეჟისორები: ა. ხინთიბიძე, გ. ჩმუტოვი.

მთავარი მხატვრები: ი. სუმბათაშვილი, ბ. სტარიკოვსკი. კომპოზიტორი: ს. ცინცაძე.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 25 გვ.

31. დასკვნა – ნახატი ფილმის „ჩხიკეთა ქორწილის“ შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ლ. კობლატაძე, შ. სალუქვაძე. დაზიანებული. 3 გვ.

მოგონება

32. არკადი ხინთიბიძის მოგონება ქართული კინემატოგრაფიის შესახებ.

პირი: ალ. წუწუნავა, ვ. არაბიძე, ბარსკი, სანოვი, ხოტივარი, მარტიროსიანი, სიკო ფალავანდიშვილი, გელოვანი, კალატოზიშვილი, ნ. დოლობერიძე, ს. ჯალიაშვილი, შ. გეგელაშვილი, ეიზენშტეინი, მ. ჭიაურელი, იაშა ლაფერაშვილი.

1948 წ. ავტოგრაფი. ჩასწორებული წითელი ფანქრით ავტორის მიერ. 7 გვ.

ადრესატის მიერ გაგზავნილი წერილი

33. არკადი ხინთიბიძის წერილი ვალოდიასადმი(?) ფინანსური პრობლემების შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.